პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 230 (19072) პარასკევი, 5 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს საკეთილდღეოდ

ენგურჰესის-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლებს, მონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ შესანიშნავ შრომით გამარჯვებას — ენგურჰესის-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მაღალი — 500 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

თქვენს შრომით გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ელექტრიფიკაციის შემდგომი განვითარებისა და ენერგეტიკული სისტემის სრულყოფის ამოცანათა გადაწყვეტისათვის. ეს გამარჯვება შესაძლებელს გახდის უფრო დიდი მასშტაბით ხორციელდებოდეს ელექტროენერგიის გადანაწილება მოძმე რესპუბლიკებს შორის და ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის უფრო საიმედო და სტაბილურ ელექტრომომარაგებას.

მოპოვებული წარმატება იმის შედეგია, რომ რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ პირობებში თავდადებით და მაღალნაყოფიერად შრომობდა ენერგომშენებლებისა და მემონტაჟეების მრავალეროვანი კოლექტივი, ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, შემოქმედებითად იყენებდნენ ელექტრომაგისტრალების ჩქაროსნული მშენებლობის მოწინავე გამოცდილებას, მშენებლობის პროგრესულ [illegible] და ინდუსტრიულ [illegible] და პოლიტიკურ [illegible] მშენებლობის მონაწილე [illegible] პროფკავშირ [illegible] ციები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ელექტრომაგისტრალი აშენდა შემჭიდროებულ ვადებში სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხით. მშენებლობას აქტიურ დახმარებას უწევდნენ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო და მისი ქვეგანაყოფები.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ენერგეტიკოსებისა და ენერგომშენებლების კოლექტივები მალ-ღონეს, გამოცდილებას და ცოდნას არ დაიშურებენ, ყველაფერს იღონებენ, რათა წარმატებით შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ სკპ XXVII ყრილობას.

ვულოცავთ რა ენგურჰესის-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 500 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ყველა მონაწილეს ესოდენ დიდ შრომით გამარჯვებას, გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფსაბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირში ფინეთის პრემიერ-მინისტრის კალევი სორსას ოფიციალური ვიზიტის, მასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს საუბრისა და იმ მოლაპარაკების შედეგების შესახებ, რომლებიც გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საუბრისა და მოლაპარაკების დროს გამართული აზრთა გაზიარება მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კონტაქტებისათვის ტრადიციული მეგობრობის, ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში, და ხელს შეუწყობს სსრ კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ორი ქვეყნის ხალხთა, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ვიზიტის დროს ხელმოწერილი შეთანხმება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1986-1990 წლების საქონელბრუნვისა და გადახდების შესახებ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის წარმატებული განვითარების კიდევ ერთი კონკრეტული გამოვლინებაა.

პოლიტბიუროს სხდომაზე კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე კეთილმეზობლური ურთიერთობის ყოველმხრივი განმტკიცებისა და განვითარების გეზი კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ღირსმნიშვნელოვანი მიმართულება.

პოლიტბიურომ მოისმინა და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე წარგზავნილი სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის აქტიური და კონსტრუქციული პოზიცია ხელს უწყობდა იმას, რომ სესიის ყურადღების ცენტრში ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების, გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოყენებულმა ახალმა თვალსაჩინო საბჭოთა ინიციატივებმა კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისა და კოსმოსის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის საკეთილდღეოდ გამოყენების შესახებ, აგრეთვე ხალხთა მიერ თავიანთი ბედის თავად განსაზღვრის უფლების დაცვად, სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამხ. ა. ა. გრომიკომ დიდი მუშაობა გასწია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან შეხვედრების დროს.

ამერიკის მხარესთან სერიოზული, საქმიანი დიალოგისათვის საბჭოთა კავშირის მზადყოფნის გამოვლენა იყო საუბრები შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. რეიგანთან, ამერიკის სხვა წარმომადგენლებთან. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკვანძო საკითხებისა და ამასთან დაკავშირებით მსოფლიო საქმეთა ვითარების შესახებ ფართო მასშტაბის აზრთა გაზიარებას არ გამოუვლენია ნიშნები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ამერიკის მხარეს ნამდვილად სწადია წარმართოს თავისი პოლიტიკის კურსი რეალიზმისა და მშვიდობისმოყვარეობის კალაპოტით. სსრ კავშირთან უფრო კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარების თაობაზე გაკეთებული ზოგადი ხასიათის განცხადებანი ამერიკის მხარეს არ განუმტკიცებია კონკრეტული მოქმედებით.

საყოველთაო უშიშროების ინტერესები, ყველა ხალხთა ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს შეიცვალოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ახლანდელი გეზი, რომელსაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო დაძაბულობის საშიში გაძლიერება, საერთაშორისო ურთიერთობის გაუარესება, საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ თანასწორობის, ორმხრივი პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია უდავოდ არგებდა ორივე ქვეყნის ხალხებს და სასიკეთო გავლენას მოახდენდა მთლიანად მსოფლიო ვითარებაზე. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოიჩენს ამგვარად მოქმედების მზადყოფნას, იგი ყოველთვის ჰპოვებს ჯეროვან გამოხმაურებას საბჭოთა კავშირის მხრივ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალზე მთავარი რკინიგზის ლიანდაგების ვადამდე დამთავრებისა და მატარებლების სამუშაო მოძრაობის გახსნის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მთავარი რკინიგზის მშენებლობის დამთავრებას და მატარებლების სამუშაო მოძრაობის გახსნას მთელი ბამის გაყოლებით დიდი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

10 წლის განმავლობაში მაგისტრალის ტრასაზე შესრულდა უდიდესი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მიწის ვაკისად დაყრილია 570 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი, აშენებულია დაახლოებით 4200 ხიდი და სხვა ხელოვნური ნაგებობა, გაყვანილია 5 ათასი კილომეტრი მთავარი და სადგურისპირა რკინიგზა. შენდება ახალი ქალაქები და კეთილმოწყობილი დაბები, საექსპლოატაციოდ გადაეცა 570 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის კაპიტალური საცხოვრებელი სახლები და დიდძალი სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, რომელთა საერთო ღირებულება 400 მილიონ მანეთს სჭარბობს. ამასთანავე სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს შემდგომი მუშაობა მაგისტრალის მშენებლობის დასამთავრებლად. ამ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ მხატვართა კავშირის (სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის) ძალებით გაიზარდოს 1984-85 წლებში მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი სამხატვრო ნაწარმოებებისა და ნაკეთობების გამოშვება და რეალიზაცია, აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მოსახლეობის მომსახურება სხვადასხვა სამხატვრო სამუშაოთა განსახორციელებლად შრომელთა შეკვეთების შესრულებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი სხვა საკითხები.

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინს ჯილდო გადაეცა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ 4 ოქტომბერს კრემლში ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის მეორე „ნამგლისა და უროს" ოქროს მედალი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. გრიშინს.

ჯილდოს გადაცემისას ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ვიქტორ ვასილის ძევ!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გადმოგცეთ თქვენ დღეს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და მეორე „ნამგლისა და უროს" ოქროს მედალი.

ამ ჯილდოებით აღინიშნა თქვენი დიდი დამსახურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, თქვენი მოღვაწეობა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში და სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე.

აგერ უკვე 46 წელიწადია, რაც თქვენ ჩვენი ლენინური პარტიის წევრი ხართ. პრაქტიკულად მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენ პასუხსაგებ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამუშაოზე ხართ.

თქვენ იყავით რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი, პარტიის სერპუხოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე.

17 წელიწადზე მეტია, რაც თქვენ სათავეში უდგახართ დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უდიდეს და მებრძოლ რაზმს.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენი სახელმწიფოს დედაქალაქის პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს. მოსკოვი ხომ ყოველთვის და ყველას თვალთახედვის არეშია.

და დღეს, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ამ დიდ და პასუხსაგებ პოსტზე მთელი სისრულით გამოვლინდა თქვენი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი, დიდი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად ადამიანების შთაგონებისა და დარაზმვის უნარი.

მოსკოვი ყოველთვის იყო კარგი მაგალითი მთელი ქვეყნისათვის, იგი აჩვენებდა უდიდესი ორგანიზებულობის, თავდადების, ჩვენი იდეალების გამარჯვებისათვის შემოქმედებითი შრომის ნიმუშებს.

დიდია მოსკოველთა წვლილი ქვეყნის საერთო საქმეებში, მის ეკონომიკაში, თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, რომ მოსკოველები წარმატებით ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს. ყოველივე ამას დიდი ღვაწლი დასდევს პარტიის საქალაქო ორგანიზაციამ, სკკპ საქალაქო კომიტეტმა, დედაქალაქის ყველა კომუნისტმა.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ვიქტორ ვასილის ძევ, ყველა აქ დამსწრე ამხანაგის სახელით კიდევ ერთხელ მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს სამშობლოს საპატიო ჯილდო.

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას, შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

ძვირფასო კონსტანტინე უსტინის ძევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მხურვალედ და გულითადად გადაგიხადოთ მადლობა თქვენ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩემი შრომის ესოდენ დიდი შეფასებისათვის, გულთბილი მოსალმებისათვის სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ლენინის ორდენით და მეორე „ნამგლისა და უროს" ოქროს მედლით დაჯილდოებისათვის, კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც აქ ჩემი მისამართით წარმოთქვა კონსტანტინე უსტინის ძემ.

პარტიისა და ქვეყნის წინაშე ჩემი მოკრძალებული დამსახურების ამ დიდ შეფასებას მე მივაკუთვნებ ლენინის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომლის რიგებშიც ორმოცდაექვსი წელია ვარ. პარტიამ აღმზარდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულების სულისკვეთებით, კომუნიზმის საქმის რწმენისა და ერთგულების სულისკვეთებით.

მე წილად მხვდა დიდი პატივი მრავალი წლის განმავლობაში მემუშავა ჩვენი პარტიის უდიდესი რაზმის, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული და საიმედო დასაყრდენის — სკკპ მოსკოვის ორგანიზაციის მდივნად.

მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მოსკოველ კომუნისტებს დიდი ნდობისათვის, რომელსაც მიწევდნენ და მიწევენ.

მრავალი წელია, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამ შემოქმედებითი, მებრძოლი კოლექტივის შემადგენლობაში ვარ, რომელსაც ამჟამად ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მეთაურობს.

ყოველივე ეს დიდი პატივი და დიდი სიხარულია, ყოველივე ეს მმატებს ახალ ენერგიასა და ძალას ჩვენი პარტიისა და ხალხის საკეთილდღეო მუშაობაში.

დიდი მადლობა თქვენ, ამხანაგებო, ნდობისა და მხარდაჭერისათვის.

[illegible] დატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მიულოცეს ამხანაგ ვ. ვ. გრიშინს საპატიო ჯილდო, უსურვეს ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებები საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო მოღვაწეობაში.

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

სატას-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

საკვებმომპოვებლებს ახლა მართებთ მეტი გარჯა

შემოდგომის მეორე თვე დაიწყო, მთავრდება ხუთწლედის მეოთხე წლის საზურნახულო ლაშქრობა. ახლა ის დროა, როცა მიწათმოქმედი თითქმის ყოველდღე უნდა ელოდებოდეს გაავდრებას. კარგი ამინდების მაქსიმალური გამოყენება განსაკუთრებით მართებთ საკვებმომპოვებლებს, რადგან ბალახი ხვალ-ზეგ მოსათიბად აღარ ივარგებს. ეს მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ თივის, ნამჯის, სილოსის დამზადების გეგმები რესპუბლიკაში შესაბამისად შესრულებულია მხოლოდ 76,77 და 45 პროცენტით.

საკვების მომარაგების კონვეიერი ძალზე ნელი ტემპით მუშაობს ამბროლაურის, ბოლნისის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, მარნეულის, ხობის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონების მეურნეობებში, რომლებსაც თივის დამზადების გეგმა მხოლოდ სანახევროდ აქვთ რეალიზებული. ნამჯა საგეგმოზე მეტად ნაკლები დაზვინეს ფერმებთან ზესტაფონის, ზუგდიდის, სამტრედიის, საჩხერის, თერჯოლის, წალკის, წყალტუბოს რაიონების საკვებმომპოვებლებმა.

სილოსის ჩადებაში შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს და საგეგმო დავალების შესრულებაში ჩამორჩებიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, წყალტუბოს, ჭიათურის ზონების, ახმეტის, ვანის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მარნეულის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ცაგერის, წალენჯიხის და წითელწყაროს რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობები. მათი სუსტი მუშაობის შედეგია, რომ აღნიშნული საკვები რესპუბლიკაში შარშანდელზე 87.980 ტონით ნაკლებია დამზადებული.

საერთოდ, ზამთრისათვის უხვში და წვნიანი უკეთიანი საკვები საკმარისზე მეტი მოიმარაგეს ქარელის რაიონში. თივისა და ნამჯის დამზადების გეგმები გადამეტებით შეასრულეს გორისა და კასპის რაიონების მეურნეობებმა.

საკვების დამზადების ხელსაყრელი დრო იწურება. აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს ახლა მართებთ მეტი გარჯა, რათა ზამთარში პირუტყვი არ დაემშეთ.

ასეთი იქნება საქართველოს მეცნიერთა სახლი

[illegible]

... ისხამს კონკრეტულ მეცნიერულ და ინჟინერულ გადაწყვეტებად.

ასეთი შეხვედრები ხავარაუდევია მოეწყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიმართულებების, აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი დისკუსიების, წარმოების მოწინავეებთან და ტექნიკური ინტელიგენციის [illegible]

[illegible] ლებს.

ამრიგად, მეცნიერთა სახლის დაარსებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შემოქმედებითი, ნაყოფიერი, ცოცხალი ურთიერთობისა და აქტიური დასვენების საუცხოო პირობებს უქმნის სხვადასხვა თაობის სწავლულებს.

მეცნიერთა სახლის მუშაობას წარმართავს მეცნიერთა სახლის საბჭო, რომელსაც მისი წევრების საერთო კრება აირჩევს. მთელი მისი მოღვაწეობის ოპერატიული გაძღოლა კი დაეკისრება სახლის საბჭოსადმი ანგარიშვალდებულ დირექციას.

მუშაობა წარიმართება სექციური პრინციპით, სექციებს სათავეში ჩაუდგებიან მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და დარგობრივი საკვლევო ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები.

მეცნიერთა სახლთან გაიხსნება სამკითხველო და კინოდარბაზი, მხატვრული თვითშემოქმედების მოყვარულთა წრეები, ტელე-, კინო — და ფოტოსტუდიები, ბარი, კაფე, საბილიარდო, სპორტდარბაზი, იმოქმედებს მეცნიერული აზროვნების ამ კერის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

[illegible] სა და მზრუნველობის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებად, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენენ ქართული საბჭოთა მეცნიერების, მისი მეცნიერული კადრების განვითარების, ახალგაზრდობისათვის.

რკინიგზელთა გამარჯვება

ნახევარ მილიონ ტონაზე საგრძნობლად მეტი სახალხო-სამეურნეო საქონელი დატვირთა და მიაწოდა მომხმარებელს ცხრა თვის გეგმის გადამეტებით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა. ეს, მართლაც, მეტად საგულისხმო, დამაჯერებელი შედეგია: ჯერ ერთი, სოციალისტური ვალდებულების თანახმად, გეგმის გადამეტებით რკინიგზელები 300 ათასი ტონა საქონლის დატვირთვას აპირებდნენ, მეორეც, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, სხვადასხვა მისამართით 437,6 ათასი ტონით მეტი ტვირთი გაიგზავნა!

მრავალ მიღწევას შორის ისიც არის აღსანიშნავი, რომ ვაგონების სტატიკური დატვირთვის გადიდებისა და მათი ბრუნვის დაჩქარებით დამატებითი დატვირთვისათვის 65.484 ვაგონი გამოთავისუფლდა, ვაგონთა დაყოვნება ერთ ტექნიკურ სადგურში დასაშვებთან შედარებით შემცირდა 0,15 საათით, ხოლო შარშანდელთან შედარებით — 1,41 საათით.

რკინიგზაზე რეგულარულად იზრდება მძიმეწონიან შემადგენლობათა რაოდენობა. მძიმეწონიან მემანქანეთა მოძრაობა, მართლაც რომ მასობრივი გახდა. ცხრა თვეში მძიმეწონიანმა მატარებლებმა ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 4020,2 ათასი ტონა ტვირთი, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1917,5 ათასი ტონით და 3724 მატარებლით მეტია. დაიზოგა 9 მილიონი კილოვატსაათი ენერგია და 2824 ტონა თხევადი სათბობი.

კომუნისტის ოთხ ნომერშია:

● მჭყონგრუში ჩადგა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი. (1 გვ.)

● ანგარიშვალდებული ხარ, კომუნისტო! (მე-2 გვ.)

● ორი წერილი ერთ თემაზე: სასკოლო რეფორმა ყველას საქმეა!

(მე-3 გვ.)

● ჭიათურის თეატრის მე-0 სეზონი. (მე-4 გვ.)

…ჩვენს ქვეყანაში ყველაზე რთულ, პასუხსაგებ საქმეს პირველად კომუნისტები ჰკიდებენ ხელს. სწორედ ეს განამტკიცებს მათს ავტორიტეტს ფართო მასებში.

კ. უ. ჩერნენკო.

პარტიული ცხოვრება

ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

როგორც ამ დღეებში „კომუნისტის" ფურცლებიდან ვაუწყეთ მკითხველს, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში იშვა კიდევ ერთი მეტად საინტერესო და სასარგებლო სიახლე: პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომუნისტთა იმ ანგარიშების მოსმენა-განხილვასთან ერთად, თუ როგორ ასრულებენ ისინი სკკპ წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მტკიცდება მათი პარტიული დახასიათებანიც.

დღემდე უკვე გამართული ასეთი კრებების ანალიზი მოწმობს, თუ რაოდენ იზრდება ამით პარტიის თითოეული ჯარისკაცის პასუხისმგებლობა, რაოდენ მომკითხველად, ამასთან რაოდენი გულისხმიერებით ეკიდებიან კომუნისტები თავიანთი პარტიელი ამხანაგის შრომის, ქცევის, ყოფაცხოვრების შეფასებას.

— როგორ უძღვები მინდობილ სამუშაო უბანს, იჩენ ინიციატივას, თუ კუდში მისჩანჩალებ ცხოვრებას, რა საზოგადოებრივ დავალებას ასრულებ და როგორ, იმაღლებ თუ არა შენი თეორიულ-პოლიტიკური ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დონეს, სწორად იყენებ თუ არა სამუშაოსაგან, სწავლისაგან თავისუფალ დროს? შენი მდგომარეობა, როლი და ქცევა ოჯახში, მეგობრებთან, საზოგადოებაში… აი, ყოველ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს თანდათანობით ყველას, ვინც კი კომუნისტის საპატიო სახელს ატარებს.

ჩვენი სარედაქციო ფოსტა ყოველდღიურად მდიდრდება საინტერესო წერილებით, კორესპონდენციებით, რეპორტაჟებით ასეთი კრებების მიმდინარეობის შესახებ. დღეს მკითხველს ვთავაზობთ კიდევ სამ წერილს ამ ფოსტიდან.

ეს სასიკეთო სიახლე, მუშაობის ასეთი კარგი ფორმა აქამდეც რომ გამოგვეყენებინა, მჯერა, საქმე ბევრად მოიგებდა. ამას ჩვენი დღევანდელი შეკრებაც ადასტურებს—ზუგდიდის რაიონის ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეორე უბნის ღია პარტიული კრების ბოლოს პენსიონერი კოლმეურნის სევერიან ...

[illegible]

გულმოწყალება საქმის საზიანოდ?

[illegible]

რ. რუსია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

როცა მეტი მოეთხოვება

[illegible]

ჯ. მესხიშვილი.

წინამძღოლის მაგალითით

[illegible]

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პასუხს აგებენ წამატებებისა და თვალის ახვევისათვის

ტყიბულის მცხოვრებმა, დიდი სამამულო ომის ინვალიდმა გ. ა. კიკნაველიძემ შესაბამის ინსტანციებს აცნობა, რომ ქალაქში საცხოვრებელი სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ ანგარიშების მონაცემები ყალბია.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" მშენებარე საწარმოების ხელმძღვანელობამ (დირექტორი — სკკპ წევრი გ. ს. კელენჯერიძე) 1984 წლის იანვარ-ივნისში სიმძლავრეების ძირითადი ფონდების ამოქმედებისა და კაპიტალდაბანდებათა ლიმიტის გამოყენების შესახებ ანგარიშგებაში ასახა ტყიბულში გორგასლის ქუჩაზე 5-სართულიანი 45 ბინიანი 2242 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემა. მაგრამ 1984 წლის 10 აგვისტოსაც კი ამ ობიექტზე არ იყო დამთავრებული წყალსადენისა და კანალიზაციის შიდაგანი და გარეთა ქსელის მოწყობის, ცარ-ფანჯრების შემინვის, პარკეტის დაგების სამუშაოები, არ დაწყებულა სანტექნიკური და ელექტროხელსაწყოების დადგმა და დამონტაჟება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება. დაუმთავრებელი სამუშაოების საერთო ღირებულებამ დაახლოებით 60 ათასი მანეთი შეადგინა. ამგვარად, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" ხაზით მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულების პროცენტი ფაქტობრივად ნოლს უდრის, თუმცა ანგარიშგებაში ნაჩვენებია გეგმის 100 პროცენტით შესრულება.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმების დღეს სახელმწიფო კომისიის მიერ სახლის მიღების აქტი არ აღმოაჩნდა არც შემკვეთს, არც საიჯარო ორგანიზაციას. მიუხედავად ამისა, ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე — სკკპ წევრი გ. ე. ცნობილაძე), მშენებელთა ნებას აყოლილმა, სრული უპრინციპობა გამოიჩინა და 1984 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით უკანონოდ დაამტკიცა არარსებული აქტი.

და ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ტყიბულის საქალაქო აღმასკომი ხელს უწყობს წამატებებსა და თვალის ახვევას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა ეს ფაქტი, ... მიიღო, რომ შემოწმების მასალები გადაეცეს ორგანოებს, რათა პასუხი აგებინონ პირებს, რომლებმაც დაუშვეს წამატებები სახელმწიფო ანგარიშგებაში.

სკკპ წევრების — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის ვ. ტ. გოგოლაძის, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" გენერალური დირექტორის ბ. გ. სანიკიძის ყურადღება მიექცა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევის, წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტებს, რომლებიც მოხდა მათს საქვეუწყებო საწარმოებში, და მოსთხოვა სახელმწიფო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში.

იმის გამო, რომ კონტროლი არ გაუწევს და არ მიმართეს სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევების აღკვეთის გადამჭრელ ღონისძიებებს, რის შედეგადაც დაშვებულ იქნა წამატებები და თვალის ახვევა, სკკპ წევრებს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მმართველ კ. ვ. უჩანეიშვილსა და საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" კაპიტალური მშენებლობის დირექტორს ნ. ა. დვალიშვილს გამოეცხადათ საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებების დაშვებისათვის სკკპ წევრებს — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის „ტყიბულშახტმშენის" სამშენებლო სამმართველოს უფროსს ნ. ა. ლომიასა და საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" მშენებარე საწარმოთა დირექციის დირექტორს გ. ს. კელენჯერიძეს გამოეცხადათ საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტებისადმი წაყრუებისათვის, საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტის საექსპლოატაციო მიღების შესახებ სახელმწიფო კომისიის არარსებული აქტის უკანონო დამტკიცებისათვის სკკპ წევრს, ტყიბულის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ე. ცნობილაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

(საქინფორმი).

შემოდგომა ვაშლის ბაღში

ოქროს ხანა დაუდგათ საქართველოს მებაღეებს: მასობრივად კრეფენ სურნელოვანი ვაშლის მოსავალს.

144 ჰექტარი უკავია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვაშლის ბაღს. გეგმით გათვალისწინებული 620 ტონის ნაცვლად მებაღეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 680 ტონა ვაშლი. ყოველდღე მეურნეობიდან თბილისის სავაჭრო ქსელს ეგზავნება 20-80 ტონა მწიფე ნაყოფი.

ალოობაში აქტიურად მონაწილეობენ საგურამოს № 89 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

სურათებზე: საგურამოს № 89 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ვახტანგ ბუჭიაშვილი ვაშლს კრეფს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; უხვი მოსავალი მოიწიეს მუხრანელმა მებაღეებმა.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გულითადი მადლობა, სვერდლოვსკელებო!

ოცი ათასამდე მაყურებელი დაესწრო სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის საგასტროლო წარმოდგენებს. თეატრ „მეგობრობის" სტუმრებმა ურალელმა მსახიობებმა საქართველოს დედაქალაქში თავიანთი რვა საუკეთესო დადგმა წარმოადგინეს.

4 ოქტომბერს გასტროლების დასრულების წინ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში თეატრის კოლექტივს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომელიც მას მიენიჭა გასტროლების წარმატებით ჩატარების, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის, მშრომელთა ინტერნაციონალურ და ესთეტიკურ აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის.

თეატრის მთავარი რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. კუროჩკინისათვის ჯილდოს გადაცემის დროს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა გ. გაბუნიამ თბილად და გულითადად მიულოცა შემოქმედებით კოლექტივს დიდი წარმატება.

— თბილისური შეხვედრები ჩვენ გულებში წარუშლელ კვალს დატოვებენ, ნათელ ფურცელს ჩაწერენ თეატრის ისტორიაში, — თქვა ვ. კუროჩკინმა,—თან მიგვყვება ულევად გულთბილი, კეთილისმსურველი ქართველი მაყურებლის სითბო. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით: რესპუბლიკის სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგის მოადგილე ამბა ვახტანგ ლუკას ძე შენგელია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგეს, პროფესორ ვახტანგ ილიას ძე კალანდარიშვილს მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

სასკოლო რეფორმა — ყველას საზრუნავი

რა ხშირად გვიცხებს გულს ტკბილი მოგონებებით, როცა ვხედავთ, როგორ მიიჩქარიან სკოლისაკენ უმაწვილები.

ერთ დროს ხომ ჩვენც ასე ჟრიამულით ვეშურებოდით მისკენ.

ახლა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ჟრიამული აცოცხლებს მის მზიან ოთახებს და მიდამოს.

სკოლა გვასწავლის და გზრდის, სკოლა გვმოძღვრავს და გვილოცავს დიდი ცხოვრების გზას.

სკოლაზე ფიქრი ხვალინდელ დღეზე, მომავალზე ფიქრია და ამიტომაც მისი საზრუნავი ყველა ჩვენგანის საზრუნავია, განურჩევლად ასაკისა თუ პროფესიისა. ეს აზრი ერთხელ კიდევ განსაკუთრებული სიცხადით დაადასტურა სასკოლო რეფორმამ.

სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში განვითარებულია ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში მისი როლის ლენინური იდეა. რეფორმის მთავარი მიზანია ახალგაზრდობის განათლებისა და კომუნისტური აღზრდის, ცხოვრებისა და შრომისათვის მისი მომზადების ხარისხის ამაღლება. დასახული დიდი ამოცანების განხორციელებაში ერთი უპირველესი მნიშვნელობა მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათ პროფესიულ მომზადებას ენიჭება, რაც განსაკუთრებული სიღრმით აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ".

სწორედ ამ აქტუალურ საკითხებს ეხება წერილები, რომლებიც ჩვენი გაზეთის რედაქციას თბილისის 114-ე საშუალო სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ი. შენგელიამ (33 წელია, იგი ამ სკოლას ხელმძღვანელობს) და ამ სკოლის აღზრდილმა, ახლა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ი. იორდანიძემ გამოუგზავნეს.

ორი წერილი ერთ თემაზე. მათში სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ერთი სულისკვეთებით, ერთი მისწრაფებებით არის გაშუქებული პრობლემა, რომელიც ასე აღელვებს და აინტერესებს თითოეულ ჩვენგანს.

თბილისის 114-ე საშუალო სკოლაში თავს სტუმრად არ გრძნობს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზურაბ ჩიქვაძე. ამ სკოლაში რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ყოფილა, მას რომ მონაწილეობა არ მიეღო. თავად უმაწვილებიც გაშინაურებული არიან „ელმავალმშენებელში". იქ მათთვის ეწყობა საინტერესო შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ასპარეზობები. ამ ზაფხულს სკოლადამთავრებულებს გამოსათხოვარი საღამოც საწარმოო გაერთიანებამ მოუწყო. თუმცა ის საღამო მარტო გამოსათხოვარი კი არა, მისასალმებელიც გამოდგა: 21 ვაჟი, ყველა, ვინც უმაღლესში ვერ მოხვდა, სამუშაოდ „ელმავალმშენებელში" მივიდა.

* * *

სურათზე: საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი ზურაბ ჩიქვაძე, ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი საამქროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი იზოლდა იორდანიძე, 114-ე საშუალო სკოლის დირექტორი ილია შენგელია მეცხრეკლასელ მოსწავლეებთან.

ვ. ბენზიურის ფოტო.

შეხვედრა დამწყებ პედაგოგებთან

ცაგერი ახალბედა პედაგოგი დაუბრუნდა სამუშაოდ ჩოხატაურის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. მათ უკვე განიცადეს პირველი გაკვეთილის ჩატარების მღელვარება და სიხარული. ამ დღეებში ახალგაზრდა მასწავლებლებს შეხვედრა მოეწყო საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომში. პედაგოგობა მეტად რთული და პასუხსაგები პროფესიაა, — უთხრა ახალგაზრდებს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ერქომაიშვილმა. — იგი მოითხოვს აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, განუწყვეტელ თვითსრულყოფას, ძიებას, სიახლისაკენ სწრაფვას...

რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ლ. თოდუამ დამწყებ მასწავლებლებს მიულოცა პედაგოგობა და გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

შეხვედრაზე გამოვიდნენ განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე ი. ხაბეიშვილი, ...

... ხარაძემ მადლობა გადაუხადეს პარტიის რაიონულ კომიტეტსა და განათლების განყოფილებას საქმიანი შეხვედრისათვის და აღუთქვეს, რომ უფროსი თაობის გვერდით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

დ. გურგენიძე,
ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

ყურადღების ცენტრში

საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევა

გრძნობა, რომელსაც პროფესიის სიყვარულს ვუწოდებთ

გამიზნული კურსის სისწორე

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა. 3 ოქტომბერს აქ მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მან განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება სოფლის მეურნეობის სურსათის მწარმოებელი სხვა დარგების განვითარების აქტუალური ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. იაკეშის ინფორმაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მოსკოვის უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის შედეგების შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის 35 წლის განვითარების შედეგები მოწმობს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, ლენინური კოოპერაციული გეგმის შემოქმედებითი განხორციელებაზე დამყარებული მსხვილსაქონლური სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობისათვის გამიზნული მისი კურსის სისწორეს.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა.

პლენუმმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტე-...

გმობენ ტერორიზმის პოლიტიკას

... ელისა, შეერთებული შტატები. ზოგადპოლიტიკური დისკუსიის მონაწილენი აღნიშნავენ, თუ რაოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანია საბჭოთა წინადადება იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა და სახელმწიფოთა ყოველგვარი მოქმედება, რომლის მიზანი სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ძირის გამოთხრაა.

აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში ასეთი პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ძალის გამოყენება, განაცხადა ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა დ. ორტეგამ. ამერიკის შეერთებული შტატების ტერორისტული მოქმედების ობიექტია ნიკარაგუაც, თქვა მან. ვაშინგტონს ხელს არ აძლევს, რომ ისტორიაში პირველად ეს ქვეყანა ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებს. ბოლო წლების მანძილზე ნიკარაგუის წინააღმდეგ მიმართავენ აშკარა აგრესიას, რომელსაც ემსხვერპლა ათასობით ნიკარაგუელი, მათ შორის ბავშვები, ქალები და მოხუცები. ქვეყანას უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიადგა. ნიკარაგუის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის ფარგლებში, თქვა დ. ორტეგამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს დაქირავებული არმიები. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამ-... კალაქენი თავს ესხმიან ეკონომიკურ და სამხედრო ობიექტებს. ნიკარაგუის საზღვრებზე შექმნილია სამხედრო ინფრასტრუქტურა პირდაპირი მასიური ინტერვენციისათვის. პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე მოამზადეს ნიკარაგუაზე სამარცხვინო „გრენადის ოპერაციის" მსგავსი თავდასხმის გეგმები.

დ. ორტეგამ თქვა: ნიკარაგუა მხარს უჭერს ცენტრალური ამერიკის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას და კერძოდ, უკვე განაცხადა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ და ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ხელი მოაწეროს „კონტადორის ჯგუფის" მიერ მომზადებულ „მშვიდობის აქტის" პროექტს. მაგრამ ნიკარაგუისა და „კონტადორის ჯგუფის" ყოველ სამშვიდობო ინიციატივას, აღნიშნა მან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უპასუხებს ტერორისტული თავდასხმებით, სამხედრო და ეკონომიკური აგრესიის გაფართოებით.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში იმპერიალიზმი თავს ესხმის სუვერენული სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ კურსს, განაცხადა ლაოსის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ა. სიპასეტმა. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ... ბის უზრუნველყოფა, ომების თავიდან აცილება, რომელთა გაჩაღებასაც ამზადებენ იმპერიალიზმის ძალები, ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა-შემცირება, თქვა ლაოსის დელეგაციის მეთაურმა. მან დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში შეიტანონ კოსმოსური სივრცის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საკითხი. აგრეთვე სსრ კავშირის მიერ ცალმხრივი წესით წინათ ნაკისრი ვალდებულება, პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რ. მუგაბემ დაგმო სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით ახორციელებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ მიანიჭონ დამოუკიდებლობა ნამიბიას და კატეგორიულად უარყო დასავლეთის სახელმწიფოებისა და პრეტორიის ცდები, რომ ეს საკითხი „დაუკავშირონ" პრობლემებს, რომლებიც მას არანაირად არ უკავშირდება, რათა გააჭიანურონ კოლონიური და რასისტული ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლების პროცესი.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. გრაცმა განაცხადა, რომ საჭიროა განმტკიცდეს საერთაშორისო უშიშროება და თანამშრომლობა, შემცირდეს ბირთვული იარაღის არსენალები. ამ მიზნების მიღწევას, თქვა მან, ხელს შეუწყობს ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებებისადმი მიძღვნილი სტოკჰოლმის კონფერენცია.

შეიცნობ საკუთარ თავს

ფოტოინფორმაცია

მეფრატის პალატი გადაწყვეტილია

ძველი თბილისი: რესტავრატორთა თანამეგობრობა

არქიტექტორთა და რესტავრატორთა მზრუნველობის შედეგად სულ უფრო მშვენდება ძველი თბილისის განუმეორებელი კუთხეები — ღირსშესანიშნავი ადგილები ტურისტებისათვის, რომლებიც ამ შემოდგომის დღეებში საქართველოს დედაქალაქში ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყველა მხარიდან და საზღვარგარეთიდან.

იქ, სადაც წინათ მოედანი იყო, დღეს სამარყანდელ რესტავრატორთა დიდი ჯგუფი მუშაობს. ქართველ სპეციალისტებთან ერთად ისინი აღადგენენ და აახლებენ თბილისის განთქმულ აბანოებს, რომლებიც ცნობილი იყო არა მარტო გოგირდის წყლით, არამედ თავისებური არქიტექტურითაც.

● ●

სურათზე: სამარყანდელი რესტავრატორი რაუშან ხალილოვი; იქ, სადაც ძველი მოედანი იყო.

ვ. ყარაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ექლვნება ეგნატე ნინოშვილს

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიით დაიწყო მწერლის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებანი. სესია გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. სესიის გახსნისას რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებას, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ერთმა პირველთაგანმა მკაფიოდ ასახა მშრომელი გლეხობის, მისი უღარიბესი, რევოლუციურად განწყობილი ნაწილის ცხოვრება.

მოხსენება „ე. ნინოშვილის რეალიზმი" სესიაზე წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. პოლოკაშემ. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. დობორჯგინიძემ ილაპარაკა ე. ნინოშვილის ესთეტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებზე, ხოლო პროფესორმა გ. მერკვილაძემ — მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე.

სესიის მონაწილეებმა დიდი ...

ანდაზა გვეკითხება: ნუთუ ქურდს ბნელი ღამე აღარ სჭირდება?!

გურჯაანი, 8 ოქტომბერი. რუსთავში დღისით, მზისით ერთი მიკრორაიონის, კერძოდ, ოცდამეერთე მიკრორაიონის სხვადასხვა კორპუსში ერთდროულად შვიდი (!) ბინა გაძარცვეს.

ქურდმა თუ ქურდებმა, სამწუხაროდ, ჯერ მიკვლეული არ არის, შეამტვრიეს რუსთავის ქიმიური ქარხნის ზეინკლების გიორგი ლამაზოშვილის და ლიუდმილა იანუშევსკის, ამავე ქარხნის ინჟინრის ნატალია მარტინენკოს, ალუმინის საამქროს მეორეული ჩამომსხმელის ვლადიმერ კრიალაშვილის, პენსიონერ ციცინო ცანავას, ბაგა-ბაღის აღმზრდელის გულიკო თავდიშვილის და ხის გადამამუშავებელი კომბინატის მუშის ლია ჩაგელიშვილის ბინების მაგრად ჩაკეტილი კარები, მოიპარეს ფული და ძვირფასი ნივთები. გაქურდული ბინების პატრონები კი ამ დროს საკუთარ სამუშაო უბნებზე თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ.

იქვე არ გვეპარება, რომ ქურდებს მიაგნებენ და მართლმსაჯუ... [illegible] ... მილიციელებს, უბნის ინსპექტორს, რაზმელებს?

განა ასე უნდა ასრულებდეს მილიცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას: ადმინისტრაციული ორგანოები ისე უნდა მუშაობდნენ, რომ მშრომელ კაცს მშვიდად ეძინოს, რომ მის სიმწრით ნაშრომს ხიფათზე არ ემუქრობოდეს?

ქურდების და მძარცველების თავხედურ გამოწვევას, მართლწესრიგის აშკარად ავდებას ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა დაუპირისპირონ სიფხიზლის გამახვილება, შეუპოვრობა, ოპერატიულობა, პროფესიონალიზმი.

კანონიერებისა და წესრიგის დამცველის მუნდირი არ უნდა შეილახოს!

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

პრეტენდენტი ცვლის რეპერტუარს

...

1. d4 ...

ბ. გაბრიელი.

ვოლგოგრადი

უპირატესობა მუსტად გამოიყენა

...

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

● ●

90-ე — საიუბილეო

საუკეთესოდ რეკონსტრუირებულ შენობაში გახსნა თავისი საიუბილეო, 90-ე სეზონი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა.

დასმა მაყურებელს უჩვენა გრიგოლ აბაშიძის „ყორნალი", რომლის ინსცენირების ავტორია ნ. გურაბანიძე, დამდგმელი რეჟისორი — ლ. სვანაძე, მხატვარი — ბ. გეგეჭკორი. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ს. თომაძეს.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ნ. ჩაჩანიძე, გ. მოდებაძე, ა. ბაქრაძე, დ. ჯაფარიძე, ლ. ხვედელიძე, რ. აბზიანიძე, რ. ჩაჩანიძე, მსახიობები: ო. მაღრაძე, ნ. გულიაშვილი, ა. ცაბაძე, მ. მანჯავიძე, ქ. შარიქაძე, ს. ჩაჩანიძე, ო. ხაზაშვილი და სხვები.

— 1894 წელს იშვა ჩვენი თეატრი, — თქვა მისმა ამჟამინდელმა დირექტორმა, საქართველოს ...

ნ. კუპატაძე.

გივი გაჩეჩილაძე თვალსაჩინო წევრია იმ თაობისა, რომლის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა 30-იან წლებში დაასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეზიარნენ მეცნიერების მონაპოვრებს და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ცალკეულ დარგებს ჩაუდგნენ სათავეში.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გივი გაჩეჩილაძემ ძირითადად ქართული და ინგლისური ლიტერატურის საკითხების შესწავლას მოანდომა.

მთარგმნელობითი საქმიანობა გივი გაჩეჩილაძემ ადრე დაიწყო. სრულიად ახალგაზრდამ გამოაქვეყნა რუსი, ინგლისელი, ფრანგი, ესპანელი, გერმანელი და რომაელი პოეტების შედევრების თარგმანები და მაშინვე მიიპყრო მწერალთა და მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. 1936 წელს დაიბეჭდა გ. გაჩეჩილაძის წიგნი „უცხოელი და რუსი პოეტები". იქ შეტანილი თარგმანები გვხიბლავს შესრულების მაღალი დონით და ლიტერატურული ინტერესების ფართო დიაპაზონით. იქვე გამოვლენილია ახალგაზრდა ლიტერატორის კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება — მკითხველს მიაწოდოს, უწინარეს ყოვლისა, უცხოური პოეზიის ისეთი ნიმუშები, რომლებიც თემატურადაც და იდეური შინაარსითაც საბჭოთა ადამიანის გულთან ...

უშაველასთან და გალაკტიონთან შიაღწია.

მთარგმნელობით მოღვაწეობას ...

1946 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი „ინგლისური ბალადები" ...

დღეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, საზღვარგარეთაც ეღიარებულია, რომ მხატვრული თარგმანის ...

ქართული კულტურის სამსახურში

გ. გაჩეჩილაძის დაბადების 70 წლისთავის გამო

...

ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ნ. ბოლოკაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მთის სოფლის აღორძინება

...

სასამართლო დარბაზიდან

ოპერაცია „ფონიჭალა"

...

რ. ლიპარტელი

ფეხბურთის ამბები

...

„კომუნისტი"

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

...

ჩვენს ეკრანებზე

მოსკოვი

თბილისი

თეატრი

...

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.